პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი ლაშქარი

1923 წლ.
ივლისი
17
სამშაბათი
მზე ამ. 3 ს. 31 წ.
ჩად. 20 ს. 38 წ.
შესაბ. მოვლენათა დღიური
1917 წ. აჯანყებულ მუშების და ჯარის კერენსკის მიერ დამშვიდება

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი ხახანლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მოწერით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 323 ყოველდღიური გაზეთი ფასი 50.000 მანეთი. № 323

შესანიშნავი რევოლიუციონერი.

14 ივლისს შესრულდა ერთი წელი, რაც კომუნისტური პარტიის და მებრძოლი პროლეტარიატის რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი გმირი რევოლიუციონერი ამხ. კამო. ვის არ გაუგონია ეს გმირობით და გამბედაობით აღსავსე სახელი? ვის არ სმენია ზღაპრული—ლეგანდარული მოღვაწეობა ამ დიდებული ადამიანისა. ცნობილ რევოლიუციონერ მოროზოვმა, როდესაც მოუსმინა კამოს მისი თავგადასავალი, განცვიფრებულმა უთხრა მას „მე მირჩევნია ვისხდე შლისელბურგის ციხეში 25 წელი, ვინემ განვიცადო ყველა ის, რაც შენ გადაგიტანია ბერლინის და თბილისის ციხეებში"-ო.

კამო ღვიძლი შვილი იყო რევოლიუციისა. დღიდან მისი გამოსვლისა სარევოლიუციო ასპარეზზე მას ერთი წუთიც არ შეუსვენია. ის მუდამ, ყოველთვის, იყო ბრძოლის მოწინავე ხაზზე თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მისი არაჩვეულებრივი გამჭრიახი გონება სძლევდა ყოველგვარ დაბრკოლებას და წინააღმდეგობას, რომელიც კი გადაეღობებოდა მას წინ თავის მიზნის მიღწევაში. უშიშარი, გაბედული ბრძოლის ჟინით აღსავსე ის ყოველთვის ადვილათ იტანდა ყოველგვარ გაჭირვებას, უბედურებას და სიხარულით სწევდა მძიმე უღელს რევოლიუციონერისას.

არა ერთი და ორი საგმირო საქმე გაუკეთებია კამოს ჩვენი პარტიის საკეთილდღეოთ. შავბნელი რეაქციის დროს 1907 წელში რამოდენიმე თავდადებულ ამხანაგებით ის თავს ესხმებოდა ტფილისში ერევნის მოედანზე სახაზინო ფოსტას და იტაცებს დიდძალ თანხას (250.000 მანეთს), რომელიც სავსებით ხმარდება პარტიულ მუშაობას.

ამის შემდეგ კამო გხვდება გერმანიაში, სადაც მას აპატიმრებენ და გზავნიან რუსეთში.

აქ ის იგონებს სიგიჟეს.

თვითმპყრობელობა მას ათავსებს ჯერ მეტეხში, შემდეგ პსიქიატრულ საავადმყოფოში, საიდანაც ამხ. კოტე ცინცაძის დახმარებით კამო გარბის საზღვარ-გარეთ.

შემდეგ ის ბრუნდება საქართველოში.

მას კვლავ ატყვევებენ და სასამართლო უსჯავს სიკვდილით დასჯას, რაც რაღაც მანიფესტის წყალობით ეცვლება 20 წლის კატორღით.

1917 წლის რევოლიუცია ბოლოს უღებს კამოს ტანჯვას და ანთავისუფლებს მას.

მაგრამ ის არ ისვენებს. სამოქალაქო ომის დროს კამო ღებულობს მხურვალე, აქტიურ მონაწილეობას კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ის კვლავ ტფილისშია ერთერთ საპასუხისმგებლო პოსტზე. მაგრამ სრულიად შემთხვევით ეს რევოლიუციის სახელოვანი გმირი პოულობს სიკვდილს ავტომობილის დაჯახებისაგან.

ძნელი და დაუჯერებელია ასე უბრალო სიკვდილი ასეთი არა ჩვეულებრივი, ბუმბერაზ ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა საშინელ ბრძოლაში რეაქციასთან და ბურჟუაზიასთან და რომელიც მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა ათასგვარი გაჭირვებისაგან და ხიფათისაგან. ძნელია კამოს დაკარგვა პროლეტარიატისთვის, მაგრამ მისი სახელი შარავანდედით შემოსილი მუდამ იქნება პროლეტარიატის ხსოვნაში. ისტორიის ფურცლებზე მისი წარსული ცხოვრება გადაიშლება როგორც უკვდავი ლეგენდა რევოლიუციის გმირისა.

ამხ. კამოს ხსოვნას.

ძვირფასთა შორის—ძვირფასო კამო!
სალამი შენდა!
შრომის სამეფო შენგვარ გმირთ გამო
უკვე აშენდა!..

—

ძველი მსოფლიო შენით ძრწოდა—
ყუმბარის დაკვრით;!
შენი სული კი ყველგან რბოდა
დროშის არ დახრით.

—

რევოლიუციის სიბრძნევ და გიჟო—
ბრძოლის აკვანო;
მარადი ცეცხლით მოგიზგიზვ
და სათაყვანო!..

—

დაუდგრომელი სული შენი
დაჰქროდი ძლევით;
მუშათა რაზმის რიგების მშვენი
იწევდა ზევით!..

—

მზეს ემოყვრობი.—მძლე რაინდი
გიჟი ცხენებით;
გაჰკაფე გზები, სავსენი ბინდით,
წითელ ენებით!

—

შენის ტერორით დაეცა ზარი
ძველსა დროებას;
და მდიდართ კლასთა გადესვა ჯვარი
აქ მყუდროებას!..

—

რა შენსა მიზანს მიაღწიე—
დაღონდი რაღდაც;
რადგან, კვლავ დროშა ველარ ასწიე—
ილტოდი სადღაც!..

მაგრამ დაეცი საყვარელ ქუჩებზე
სრულიად შემთხვევით;
მოგესპო ღიმი ვულკან ტუჩებზე
სისხლისა ნთხევით!

და ჩაეკონე შენს საყვარელ
კალთებს თბილისის;
ო, ვხედავ მუშებს შენზე ცრემლთ
მღვრელ
ნეტარ ტკბილის თქმით!..

სანდლი



ამხ. კამო

ამხ. კამოს სახელი უკვდავი უნდა იყოს

კამოს სახელობის ქუჩა.

1922 წ. 17 ივლისს თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომაზე იყო შემოტანილი წინადადება: დიდი მთავრის ქუჩას დაერქვას ამხ. კამოს სახელი.

წინადადება ერთხმად იქმნა მიღებული.



ძეგლი.

22 წლის დეკემბერში ტფილისის აღმასკომმა დაადგინა კამოს საფლავზე დასდგას ძეგლი, რის სისრულეში მოსაყვანად გამოცხადებული იქმნა პროექტების კონკურსი. განსაკუთრებული კომისიის მიერ საუკეთესო პროექტად აღიარებული იქმნა პროექტი დევიზით — „ომაკ" (თუ უკან შებრუნებით წავიკითხავთ გამოვა „კამო"), რომელიც აღმოჩნდა სახალხო მოქანდაკე—ი. ნიკოლაძის ნამუშევარი.

აღნიშნული პროექტის ავტორი დაჯილდოებული იქმნა პირველი ხარისხის ჯილდოთი.

„ომაკის" ძეგლის ესკიზი გამოსახავს ამხ. კამოს იმ დროს, როდესაც ის იბრძვის პროლეტარიატის გასანთავისუფლებლად; უკან მისდევენ თავის ბელადს მუშები, რომლებიც მზად არიან მხარი დაუჭირონ თავის ერთ-ერთ წინამძღოლთაგანს.

კვარცხლბეკზე გამოხატულია მაღარო, სადაც განსახიერებულია უდიდესი ღრმა და მძიმე მუშაობა. კვარცხლბეკზე სხვა და სხვა ემბლემების დეკორატიული გამოსახვა შეძლება შეთანხმებით დამუშავდეს. ძეგლის სიმაღლე ოთხ არშინ ნახევარია.

გარდა ამისა, აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების მიერ ამხ. კამოს სახელი უწოდა წყნეთის 9-რე საბავშო სახლს.

ამხ. კამო ციხეში.

(ამხ. ლ. სუხიშვილის მოგონება)

ამხ. კამო გავიცანი 1909 წელს. ჩვენ მაშინ ერთად ვისხედით ტფილისის ციხეში. ეს სწორედ იმ დროს იყო, როდესაც ის თავს ისულელებდა, რომ როგორმე თავი დაეღწია. ციხიდანაც უფრო ადვილი იყო გაქცევა, ჩემთან საუბრის დროს ამხ. კამო გამომიტყდა, რომ თავს განგებ ისულელებს და ისიც ამიხსნა, თუ რისთვის.

მეორეთაც მომიხდა ამხ. კამოსთან ერთად ციხეში ჯდომა. ეს იყო 1919 წელს, მენშევიკების დროს, როდესაც ამხ. კამომ მოახერხა გაპარვა, თხრილის გაყვანით.

ამას გარდა 1909 წელს არა ერთხელ შევხვედრივარ კამოს და მიმუშავია მასთან ერთად.

კამო როგორც პიროვნება იყო იდეალური ადამიანი და პარტიის წევრი. მას სრულებით არ ჰქონდა კარიერისტული მიდრეკილება, ცხოვრობდა პირადი ინტერესების გარეშე და მხოლოდ ხალხისა და პარტიის ინტერესებზე ზრუნავდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გავლენა, რომელიც მას ჰქონდა მასთან მომუშავე ამხანაგებზე. იმის გარდა რომ ის მაგალითს აძლევდა მათზე თავისი ზნეობრივი და მორალური გავლენით, ამხ. კამოს აღფრთოვანება შეჰქონდა მუშაობაში.

ეჭვს გარეშეა, რომ ამხ. კამოს სიკვდილი დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისია.

დეპეშები

— ლოზანის კონფერენციაზე ისევ იჩინა თავი უთანხმოებამ

— ბალდვინის დეკლარაცია შეადგენს საფრანგეთისა და გერმანიის პრესის და საზოგადოებრივი აზრის ცენტრს.

— საფრანგეთის ნაციონალისტური წრეები ბალდვინის განცხადებას სთვლიან საფრანგეთის გამოწვევათ.

— ინგლისში, საფრანგეთში და ჰოლანდიაში დადგა სასტიკი სიცხეები, ადგილი ჰქონებია აგრეთვე სიცხისაგან სიკვდილის ბევრ შემთხვევებსაც.

— ინგლისში ნავთსადგურის მუშათა გაფიცვები გრძელდება.

— კომინტერნის მდივანი ამხ. კოლაროვი, რომელიც დატუსაღებული იყო ბულგარეთის მთავრობის მიერ განთავისუფლეს.

— ბალტიის რესპუბლიკების კონფერენცია გათავდა. შემდეგი კონფერენცია შესდგება დეკემბერში ვარშავაში.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.

პლენუმის გახსნა და ამხ. რადეკის სიტყვა.

13 ივლისს გაიხსნა ახალგაზრდათა კომინტერნის გაფართოებული პლენუმი. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხანაგი რადეკი, რომელიც შეჩერდა ინგლის-საფრანგეთის უთანხმოებაზე, რურის ოკუპაციის გამო, ინგლის-ამერიკის შეიარაღებაზე იაპონიის წინააღმდეგ და გერმანიის მარკის კურსის კატასტროფიულ დაცემაზე. „კაპიტალისტურ ქვეყნებში, სთქვა ამხანაგმა რადეკმა, კაპიტალის შემოტევა აღწევს თავის განვითარების უმაღლეს წერტილს, პარალელურად ამისა ძლიერდება კლასიური შეგნების ზრდა და იზრდება პრო-

ამხანაგებო წითელ-არმიელებო და წითელო სარდლებო!

ადევნეთ თვალყური ჩვენი-გაზეთის „წითელი-არმიელი“-ს გავრცელებას, გამოიწერეთ

დაეხმარეთ რითაც შეგიძლიათ ქარ. წითელი არმიის გაზეთს „წითელ-არმიელს“

გამოგზავნეთ ცნობები და წერილები გაზეთისათვის.
გააშუქეთ წითელი არმიის ცხოვრება,
მისი ნაკლი და ღირსება.

ლეტარიატის აქტიურობა დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში“. ამხ. რადეკმა აღნიშნა, რომ აუცილებელია მიექცეს საჭირო ყურადღება გერმანულ ფაშიზმს, რომლის გამარჯვებაც გამოიწვევდა შუა ევროპის პოლიტიკური მდგომარეობის დიდ გართულებას უნდა ყოველი ღონე ვიღონოთ, რომ კომუნისტურმა პარტიამ გერმანიისა და ჩეხო-სლოვაკიისა არ გაიმეორონ იტალიისა და ბულგარეთის კომპარტიის შეცდომები.

პლენუმის მოწოდება.

ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა მიმართა მოწოდებით იაპონიის, კორსის და ჩინეთის მშრომელ ახალგაზრდობას, რომელშიაც გამოსთქვამს პროტესტს მილიტარისტების ძალადობის წინააღმდეგ იაპონიის, კორსის და ჩინეთის მშრომელ ახალგაზრდობის მიმართ. ახალგაზრდათა კომინტერნი დარწმუნებულია, რომ აღმოსავლეთის რევოლიუციონური ახალგაზრდობა, უპასუხებს მოძალადეებს თავისი რიგების უფრო განმტკიცებით.

კომინტერნის აღმასკომის ანგარიში.

კომინტერნის აღმასკომის 14 ივლისის სხდომაზე მოსმენილ იქმნა აღმასკომის ანგარიში, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ახალგაზრდათა მესამე კონგრესის შემდეგ, ახალგაზრდათა კომინტერნი საგრძნობლად გაიზარდა.

მიუხედავად დაუსრულებელ დევნისა, რომელსაც ისინი განიცდიან ყველა სახელმწიფოებში, ახალგაზრდათა კომინტერნის გავლენა თანდათან მატულობს.

სოციალ-დემოკრატების მხრით ახალგაზრდობაზე გავლენა თანდათან კლებულობს.

რის გამოც აღნიშნავს ახალგაზრდათა კომინტერნის წარმატებას აღმოსავლეთში.

დღის წესრიგში სდგას ფაბრიკებში, ქარხნებში და პროფკავშირებში მასიური მუშაობის გაძლიერება და აგრეთვე განვითარების საქმის სათანადო დონეზე დაყენება. აღმასკომის მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი.

ლოზანის კონფერენცია

№ 2.

ახალი კრიზისი.

ლოზანის კონფერენცია სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა ახალი კრიზისის წინაშე. კრიზისის მიზეზია სტამბოლის ევაკუაციის და კონცესიის საკითხში შეუთანხმებლობა. ოსმალები მოითხოვენ უცხო სახელმწიფოთა გემების ევაკუაციას ხმელეთ ს ჯარის ევაკუაციასთან ერთად.

მოკავშირეებს კი თავიანთი ფლოტის ევაკუაცია განზრახული აქვთ მხოლოდ სრუტეების შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

მოკავშირეებმა უცებ შესწყვიტეს სხდომა, განაცხადეს რა, რომ მიღწეული შეთანხმებები პროცენტებისა და ევაკუაციის შესახებ იქნება უარყოფილი, იმ შემთხვევაში თუ ოსმალეთი არ დასთმობს თავის პოზიციას კონცესიების შესახებ

მოკავშირეთა დელეგატები ემზადებიან მიმართონ თავიანთ მთავრობებს ინსტრუქციებისათვის.

ოსმალეთის დელეგაცია უარყოფს კრიზისის სერიოზულობას და ამტკიცებს, რომ უკანასკნელი არის შედეგი ინგლის-საფრანგეთის ინტერესების შეჯახებისა ნავთისა და რკინის გზებისა საკითხში.

— ანგორის მთავრობა ოფიციალურად უარყოფს ცნობას, თითქოს მან უკვე მიანდო ისმეტ-ფაშას ზავზე ხელისმოწერა.

რუსეთი და საფრანგეთი.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პუანკარემ მიმართა ამხ. ჩიჩერინს შემდეგი განცხადებით: „პასუხათ რუსეთის განცხადებაზე 9 ივლისის თარიღით, საფრანგეთის მთავრობა იმეორებს, რომ მას არ გაუტაცნია რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემები. მან მხოლოდ მისცა მათ საფრანგეთის ნავთსადგურებში ყოფნის უფლება. საბჭოთა მთავრობას არა აქვს უფლება მოითხოვს გემების დაბრუნება, რადგანაც ის არ არის ცნობილი. საფრანგეთის მთავრობას არ სურს შეაფერხოს საფრანგეთისა და რუსეთის შორის სავაჭრო ურთიერთობა და რუსეთის მოქალაქეთ შეუძლიათ უშიშრათ აწარმოონ საფრანგეთთან ვაჭრობა.

იმ რუსულ ორგანიზაციებს, რომლებმაც დაიუფლეს რუსეთის საგარეო ვაჭრობა, თუმცა ამის უფლება მათ არ აქვთ, საფრანგეთის მთავრობა უყურებს, როგორც კერძო ორგანიზაციებს. მათ მიერ საფრანგეთში შემოზიდულ საქონელზე ვრცელდება საერთო წესი და მათი ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირები დაამტკიცებენ, რომ ეს საქონელი მათ ეკუთვნის.

საფრანგეთის მთავრობამ საჭიროთ იცნო მიეცა აღნიშნული განმარტებანი რუსეთის ხალხისადმი თავის მეგობრულ გრძნობების დასამტკიცებლად.

რუსეთი და იტალია.

რუსეთის სავაჭრო წარმომადგენელი იტალიაში ამხ. კორჩაკოვი აწარმოებს მოლაპარაკებას რუსეთისა და იტალიის შორის სავაჭრო ურთიერთობისა და რუსეთიდან პურის გაზიდვის მოწყობის შესახებ. ამხ. გორჩაკოვმა განაცხადა, რომ რუსეთი მზად არის მისცეს იტალიას სასოფლო-მეურნეობის და ქვანახშირის კონცესიები.

საბჭოთა რუსეთი.

ყოფილი მენშევიკები.

ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებულია მოწოდება ყოფილი მენშევიკებისა, რათა მოწვეულ იქნეს საოლქო კონფერენცია, მენშევიკური პარტიის საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

საჰაერო ფლოტი.

ივლისი. შორეულ აღმოსავლეთი გულმოდგინეთ ემზადება საჰაერო ფლოტის კვირეულისათვის.

ტრანსპორტის მუშათა კავშირი ეწერება „საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების“ წევრად, და

წერილი ამხანაგ წითელ არმიელს.

(გაგრძელება იხ. № 322.)

(წერილი მე-სამე)

რა მოქალაქეობრივი უფლებები აქვს წითელ არმიელს და რა უფლებები ჰქონდა წინანდელ სალდათსო მეკითხები ამხანაგო.

ალბათ, ეს კითხვა ჯერ შენი ასეულის პოლიტხელს არ აუხსნია, თორემ შენ ერთობ მიხვდებოდი დიდ განსხვავებას ეხლანდელი და ძველს ჯარის კაცს-შორის; ან და შენ როგორც ახლად გაწვეულს ჯარში არ მოგწევია ჯერ შენს ნაწილში მთავრობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება და მიტომაა რომ მეკითხები.

შენ ხომ იცი, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ქვია მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა ხელის უფლება და სწორეთ ამათ მიერ არჩეული საბჭოები სცემენ კანონებს და მართავენ სოფლებს და ქალაქებს; მაშასადამე შენ ყოფილხარ კანონმდებელი ორგანოს წევრი, სოფლისა და ქალაქის მართველი.

შენ ასე მეტყვი, ჩემთვის კანონების გამოცემა არავის უკითხავს და არც იმ სხდომაზე, სადაც რაიმე კანონი გამოიცა არავის მოუწვევივარო!

აი, რა გითხრა ამხანაგო. ყველა წითელ არმიელი, ყველა გლეხი, და მუშა რომ მოვიწვიოთ იმ სხდომაზე სადაც კანონები იცემა ძლიერ კარგი იქნებოდა, მაგრამ სად მოიწვევ ამდენ წითელ არმიელს, მუშას და გლეხს, რომელიც რამოდენიმე მილიონს შეადგენს; ამისათვის შემოღებულია არჩევნები. ალბათ შენ გახსოვს შარშან საბჭოთა არჩევნები, ასი სოფლელი ირჩევდა ერთს დეპუტატს და ადგენდენ სოფლების და მაზრის საბჭოებს. ასევე იყო აქაც, როდესაც ქალაქის საბჭოს ვირჩევდით ყოველი ასი წითელი არმიელი ერთ დეპუტატს ირჩევდა და აგზავნიდა საბჭოს შესადგენათ თავიანთი მხრით მოლაპარაკეთ, ვექილათ ესე იგი საბჭოსი ამ კანონმდებელი ორგანოს წევრათ.

მაზრის და ქალაქის საბჭოებში ყველა ეს არჩეული დეპუტატები მოილაპარაკებენ, გადასწყვეტენ ადგილობრივ საქმეებს, აირჩევენ მოხელეებს აგრეთვე დეპუტატებს მთელი საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე და დაბრუნდებიან თავიანთ სახლებში და თვის საქმეებზე. ეს ყველა მაზრების და ქალაქების წარმომადგენლების ყრილობაიკრიბება იმიტომ, რომ მთელი სახელმწიფოსათვის ერთიანი კანონები დააწესონ და სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანომ ყველა მაზრას და ქალაქს კარგათ უხელმძღვანელოს, ამიტომ ახლა აქ აირჩევენ ხელმძღვანელ ორგანოს. ჩვენში ამას უძახიან საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მუშათა გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოებისა. ასეთი ყრილობა საჭიროა წელიწადში ერთხელ და ეს არის მთელი რესპუბლიკის უმაღლესი ორგანო, მაგრამ ესენი ყოველ დღე ხომ არ შეიკრიბებიან აუარებელი მაზრების და ქალაქების წარმომადგენელნი, ის ხომ ბევრ ხარჯს და გაცდენას გამოიწვევდა მშრომელებისათვის, ამიტომ წლიდან წლამდი ამ ყრილობის მიერ არჩეულნი პირები, რწმუნებულები მართავენ და სცემენ საჭირო კანონებს. ამათ უწოდებენ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს, ასეთი წევრები დაახლოებით საქართველოში ოთხმოცამდე არიან. რომ ამდენი წევრები ყოველ დღე არ შეიკრიბონ და თავთავიანთ საქმე აკეთონ რაც დავალებული აქვთ მაზრებში თუ ქალაქებში, ყავთ ყოველ დღიური სამუშავოსათვის პრეზიდიუმი და თავმჯდომარე არჩეული.

ვსთქვათ რომ ამ ჩვენმა არჩეულმა პირებმა მაზრისა, და ქალაქის სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომში გადაუხვიეს მუშათა საქმეს და არ დაგვირჩა ხეირიანი პირები არჩეული, ისეთი კანონი შემოგვაპარეს ჩვენთვის არასასარგებლო ან ერთგულად არ იმუშაოს და იზარმაცოს, დანიშნეს ისეთი მოხელეები და კომისრები, რომ ღარიბი ხალხი შეაწუხა ან და მდიდრებს ცოტა გადასახადი დაადვეს და ღარიბებს მეტი მათი სული ხომ ჩვენს ხელშია, ხომ ჩვენს დეპუტატებს აქვთ არჩევნების უფლება ყოველ წელიწადში, მეორე ყრილობაზე ამათ არ ავირჩევთ და უკეთესს გამოვნახავთ.

ამის შემდეგ მე მგონი შენ გაიგე რომ შენ წითელ არმიელო ყოფილხარ სახელმწიფოს შენების და მოწყობის სრულ-უფლებიანი წევრი.

შენ ქონია პოლიტიკური უფლება შენ ქონია მოქალაქეობრივი უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ დროებით გაწვეული ხარ ჯარში, ძველ ჯარის კაცს ამხანაგო ეს უფლება არ ჰქონდა, ეს არ ქონდა არამც თუ რუსეთის თვითმპყრობელი დროის ჯარის კაცს, არა აქვთ ევროპის სახელმწიფოების ჯარის კაცებს. იქაური კანონი მხედრებს ამ უფლებას არ აძლევს. თვითმპყრობელი მთავრობისა და ბურჟუაზიულ კაპიტალისტური სახელმწიფოს მხედარს მოქალაქეობრივი უფლებანი არ აქვთ. ესენი ჯარს პოლიტიკის გარეშე აყენებენ. ეს იმიტომ, რომ ეშინიათ, ჯარის კაცებმა უმეტესად როგორც ღარიბი ხალხის შვილებმა არ გაიგონ ის უკანონობა, რასაც ისინი შვრებიან მუშათა კლასის წინააღმდეგ და არ გამოექომაგონ დაჩაგრულ მუშებს. აგრეთვე მათ არ აძლევენ განათლების და სწავლის საშვალებას [illegible] იმიტომ რომ თუ მათი სალდათი განვითარდა მაშინ მოითხოვს წითელ არმიელის უფლებას და იმ წესებს და კანონებს, საბჭოებისას, რომელიც ახლა ჩვენ გვაქვს და მაშინ ხომ დაეცა იქაური მდიდრები მღვდლები, მემამულეები და სხვა და ხელისუფლება გადავიდა მუშების, გლეხების და წითელი არმიელების საბჭოების ხელში ისე როგორათაც აქაა.

ამიტომ მათ ჯარი სიბნელეში და უვიცობაში უნდა ყავდეს. ჩვენ კი სამალავი და საშიშარი არა გვაქვს რა. რადგან სწორედ ისეთი კანონები გვინდა შემოვიღოთ, რაც მუშებს, გლეხებს და წითელ-არმიელებს მოუხდებათ და მოეწონებათ და აქ მით უკეთესი არაა, როდესაც თვითონ წითელი არმიელის, მუშის და გლეხის დეპუტატი, რომ გადასწყვეტს კანონს?

(გაგრძელება იქნება)

თენგიზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწირავს მას ერთდროულად ნახევარი დღის ხელფასს და ჯამაგირის 1 პროცენტს 6 თვის განმავლობაში.

პროფკავშირთა შორეულ აღმოსავლეთის საბჭომ გადასცა „საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებას“ სასარგებლოთ 3.000 მან. ოქროთი და ყველა პროფორგანიზაციებს შორის გაანაწილა 25 მანეთი ოქროთი თვითმფრინავობის ასაშენებლად.

რუსეთის წითელი ჯვარი ბულგარეთში.

ბულგარეთის გადატრიალების დღიდან დაიწყო რუსეთის წითელი ჯვრის მისიაზე ბულგარეთში თავდასხმები ბულგარეთის და რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერების მხრით. ამ ხანებში შეიარაღებულმა ჯგუფმა მოინდომა შესვლა მისიის შენობაში, მაგრამ დროზე შენიშნეს.

მიუხედავად მისიის მიერ ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი მიმართვისა, არ ყოფილა არავითარი ზომები მიღებული მისიის დასაცავად.

ივნისის დამლევში ბულგარეთის ხელისუფლების მიერ დატუსაღებულ იქნა მისიის სამი თანამშრომელი, რომელსაც კომენდანტურაში სცემეს, იმის გამო, რომ ბრალსა სდებდენ კომუნისტობაში. პროვინციებში ხდება დაჭერა და გაძევება წითელი ჯვრის წარმომადგენლებისა და აგრეთვე „რუსეთში დაბრუნების კავშირის“ მომუშავეთა, რის გამოც რუსეთში დაბრუნებისათვის მუშაობა შეჩერებულია.

— რუსეთის მთავრობა სთხოვს ნანსენს გადასცეს ბულგარეთის მთავრობას, რომ ბულგარეთში დარჩენილ რეპატრიატების მომავალბედის შესახებ რუსეთი სთვლის იუბლგარეთს პასუხის მგებლათ.

დამოკიდებულება რუსეთთან.

ჩეხო სლოვაკეთი და რუსეთი.

ლეგიონერების თათბირზე ბენეშმა განაცხადა, რომ ჩეხო სლოვაკიის მთავრობა მუდამ წინააღმდეგი იყო ინტერვენციისა რუსეთის საქმეებში. რუსეთის მდგომარეობა ხდება თანდათან მტკიცე. რუსეთის გამოტოვება ევროპის სახელმწიფოების სისტემიდან ცუდ გავლენას იქონიებს მთელ ევროპაზე, კერძოდ ჩეხო-სლოვაკიაზე, რომლისთვისაც ფრიად მნიშვნელოვანი არის რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების განახლება.

ბელგრადის გაზეთის აზრი.

ბელგრადის გაზეთი „ტრიბუნა“ სწერს, რომ სერბიის მთავრობამ უნდა დაჩქარებით განაახლოს დამოკიდებულება რუსეთთან, ვინაიდან სამხრეთ სლავიის ყველა წრეებში, განურჩევლად მიმართულებებისა, აშკარა არის განწყობილება რუსეთთან დაახლოების სასარგებლოდ. რუსეთის მთავრობა ცნობილია რუსეთის ხალხის უმრავლესობის მიერ. ინგლისმა, იტალიამ, ჩეხო-სლოვაკიამ და საფრანგეთიც კი დარწმუნდენ იმაში რომ აუცილებელია რუსეთთან კავშირის განახლება. „აუცილებელია გაიგზავნის რუსეთში კაცი, რომელსაც შეუძლია მოაგვაროს დამოკიდებულება“. ათავებს გაზეთი.

შვეციის ფირმის დირექტორის აზრი.

შვეციის ფირმის „ასს ს“ დირექტორმა ლინდენმა, რომელიც დაბრუნდა მოსკოვიდან, განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთი საგრძნობლად გამოსწორდა და რომ იქ სწარმოებს მუშაობა წარმოების, ვაჭრობის და ტრანსპორტის აღსადგენად.

ლინდენმა ხაზი გაუსვა საჭიროებას, რომ საჩქაროდ იქნეს რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადება.

ამერიკელი სენატორები რუსეთში.

რუსეთში მიდის ორი ამერიკელი სენატორი დემოკრატი ვინგ და უპარტიოთა ლიგის წევრი ლედდ. როსტის კორესპოდენტთან საუბრის დროს ლედდმა განაცხადა, რომ რუსეთში გამგზავრების მიზანია შეისწავლონ რუსეთის გლეხობის ცხოვრების ნამდვილი პირობები.

ჩვენი წითელი ჯარი

მისაბაძი მაგალითი.

მოქ. თუხარელის წერილმა წითელი ლაშქრის, უფშემადგენლობის (ოფიცრების) რიგებში დიდი მოვლენა მოახდინა. ზოგიერთი ოფიცრობა ვერ იყო გამოსული ოფიციალურად, რომ მათ თავისი გულწრფელი აზრები და თავისი სიმართლე გამოეთქვა მშრომელი მასის წინაშე.

9 ივლისს შესდგა კრება უფშემადგენლობისა, რომელზედაც დაესწრენ ყველა წევრები, მომხსენებელმა ფართოდ გააცნო კრებას თუხარელის წერილის მნიშვნელობა, რომელიც იყო მოთავსებული გაზეთებში. უფშემადგენლობა სიამოვნებით შეხვდა თუხარელის ახსარებას.

ილაპარაკეს მრავალმა ორატორებმა, რომლებმაც აღნიშნეს თავისი აზრი რომელიც დღემდი მათ გულში დამალული იყო, რის შემდეგ იქმნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია მიღებული.

განიხილა რა ქართულ დივიზიის უმცროს მეთაურთა მოსამზადებელი სკოლის, უფშემადგენლობა ზიზღით უყურებთ იმ პირებს და ორგანიზაციებს, რომლებიც წადილობენ შეიტანონ არევდარევა წითელი ლაშქრის რიგებში, და ზოგიერთი ჯერ კიდევ ვერ გამორკვეული ოფიცრობა მიყავთ დაღუპვის გზისაკენ.

ჩვენ მთელი ქვეყნის გასაგონად ყველანი ფიცსა ვსდებთ რომ, ერთი გულით და ერთი სულით ვიმუშავებთ წითელ ჯარის რიგებში, და არავითარ შემთხვევაში არ უღალატებთ წითელ ფიცს, რომელიც ჩვენ მივეცით საბჭოთა ხელისუფლებას!

სამხკორი: ჭანკვეტაძე.

სხვა და სხვა ამბები.

სასტიკი სიცხეები.

ინგლისში დადგა სასტიკი სიცხეები, რომლის მსგავსიც იქ არ ახსოვთ. სიცხე აღწევს 90 გრადუსს ფარენგეიტით. უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში მოხდა 50 ზე მეტი სიკვდილის შემთხვევა სიცხისაგან.

პარიზიდან მიღებულ ცნობით, სიცხე იქ აღწევს 100 გრადუსს.

ჰაგიდან მიღებული ცნობით სიცხემ ჰოლანდიაშიაც იმატა. აღნიშნულია 70-ზე მეტი სიკვდილის შემთხვევა.

პოლონეთი.

პოლონეთის კომპარტიის მოწოდება.

პოლონეთის კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება, რომელიც მოუხმობს ბრძოლისაკენ სამუშაო ხელფასის მომატებისათვის და აგრეთვე მშრომელთა გაერთიანებისაკენ განურჩევლად ეროვნებისა და პარტიისა.

ბელგია

ბელგიის კომუნისტების პროცესი.

ბელგიის კომუნისტების პროცესზე ვ ნეერსტრატენმა განაცხადა ენერგიული პროტესტი ბრალდების გამო თითქოს კომუნისტები ღებულობდენ ფულებს ბერლინიდან და მოსკოვიდან. ბრალდებულები და დამცველები შეუერთდენ პროტესტს. სასამართლოს თავმჯდომარემ დაემუქრა მათ სხდომის დახურვით. პროცესზე დაესწრო აურიცხელი ხალხი, ბევრი კომუნისტები, სოციალისტები და ადვოკატურის წარმომადგენლები.

ლეგენდა ქოროღლის ციხეზე.

საბანაკოდ მიმავალ № ლეგიონის არიერგარდი შეჩერდა კოჯრის ალმა და შეისვენა გზაში დაღლილმა და მზით დამწვარმა

არმიელები წყალზე ჩავიდნენ გასაგრილებლად.

მოშორებით სერზე ამაყად გადმომდგარა რუხი ციხე.

ბევრ ლეგენდებით შემობურვილი.

— ესაა არა,ბიჭო ი ქოროღლის ციხე?

— ჰო, ესაა.—ამუსაიფდნენ არმიელები.

— როგორც ლეგენდა ამბობს ეს აუშენებია ერთ ყაჩაღს, რომელსაც ქოროღლის ეძახდნენ, რაც სულ ხშირ ტევრიანი ტყე ყოფილა, სადაც მხოლოდ ის ყოფილა ბატონპატრონი.

საწყალ ხალხს თურმე არაფერს ავნებდა, მაგრამ მდიდრებს კი თურმე სულ ბდღვირს ადენდა. იმისი შიშით ამ ცაზე ფრინველს ვერ გადაევლო და დედამიწაზე ჭიანჭველას, მაშ; მე დამავიწყდა კიდევა, თორემ პაპაჩემი რომ მოჰყვებოდა იმის ამბებსა—მთელი ღამეები არ გვეძინა ხოლმე და ყურს ვუგდებდით სიამით...

— მერე, მერე? — მოუთმენლად ეკითხებოდნენ ლევანს, რომელიც უამბობდა ამ ამბავს.

— მერე და ის, რომ იმისთანა ვაჟკაცი არავინა ყოფილა, ტანადი, თვალადი, ღონიერი, მარდი, ერთი სიტყვით ყველაფერში კაი ბიჭი და სცხოვრობდა თურმე ამ სასახლეში, აი იმ ციხეში, ეხლა რომ ქორებს დაუბუდნიათ, და თავს ირჩენდა ნადირობითა.

ერთხელ ამ ნადირობის დროს,—რასაკვირველია მაშინ თოფი არ იყო და შვილდ-ისრით ხოცდა ნადირს. ისეთი კარგი მიზანი სცოდნოდა, რომ შენ კი არა გგავდა ტეტუაანთ ბიჭო, რომ ორმოცდა ათი ვაზნიდან ნიშანში ერთსაც ვერ ახვედრებ.—წაეხუმრა ამხანაგს.

— ჰო, კარგი, განაგრძე, თორემ სადაცაა ავიშლებით წასასვლელად. მერე?

— მერე და ისა, რომ ერთ ასეთ ნადირობის დროს შეეყარა უცნობ მონადირეს, რომელიც არ დაერიდა ამას, როგორც სხვები. გაუკვირდა, როგორ გაბედე შენ ჩემ სამფლობელოში შემოსვლაო

მონადირეს ჩაეცინა თურმე და ამ დროს წეროს გადმოეფრინა, გადმოიღო თოფი და ესროლა, ჩამოაგდო.

ქოროღლის თურმე ძალიან გაუკვირდა თოფის ნახვაი, ასე შორიდან სროლით სიკვდილი, დაფიქრებულიყო და ეთქვა:

— ჩემი ვაჟკაცობა, ჩემი მკლავი და ხმალი ეხლა ველარაფერს იზამსო და გადაკარგულიყო აქედან აზრუმში, სადაც შეჰყვარებოდა ფაშის ქალი—ლეილა და მოეტაცნა. მერე ველარაფერი გაიგეს იმისი.

აი მას მერე ეს ციხე არის უპატრონოდ, სადაც დამფრთხალი ნადირი თუ აფარებს თავს და ქოჩორ აწეწილი ქარი დაქშუის.

დაათავა ლევანმა.

— ჰე, ტა-ტა-ტა! რა ბიჭი ყოფილა!!!—ამბობდნენ არმიელები და თვალს არ აშორებდნენ ციხის ნანგრევებს.

გაისმა ბუკი და ყველა შემოკრბა.

მზე უკვე სასაზღვროდ იხრებოდა, რომ მოეშორდით ამ არეს.

ს.-ნ.

ცალკე მესანგრე ასეულის კულტურული მუშაობა.

ჩვენ მესანგრე ასეულში კარგ საფეხურზე დგას როგორც პოლიტ მუშაობა, ისე ყოველ გვარი კულტურული განმანათლებელი დაწყებანი.

ყველაფერი ეს არის მოგვარებული ჩვენი პოლიტ მომუშავეების ენერგიული და თავ დადებული მუშაობით. ისინი გულ მოდგინეთ ეწევიან ყოველივე მუშაობას რომ, ჩვენ წითელ არმიელებს მისცეს როგორც პოლიტიკური ისე ყოფელივე ცოდნა. არის დაარსებული სხვა და სხვა კულტურულ განმანათლებელი წრეები, სადაც სწარმოებს ყოველ გვარი მეცადინეობა წითელ არმიელების და ადგილობრივ მუშების და გლეხების. არის სამკითხველო. მოიპოვება ყოველ გვარი წიგნები. აგრეთვე მოგვდის ყოველ დღიური გაზეთები სისტემატიურად.

მეწიეთელი

ცხენოსან ლეგიონში.

ცხენოსან ლეგიონში მუშაობა მიმდინარეობს სასურველად.

ყოველ კვირაში ეწყობა „შაბათობა“ რომელსაც წით. მოლაშქრეები, უფროსთა შემადგენლობა და პოლიტხელებიც სიხარულით ხვდებიან.

გვაქვს კლუბი, სადაც კვირაში ორჯერ მიდის წარმოდგენა თვით წ.-არმიელების ინიციატივით. სამკითხველო თავის დონეზეა დაყენებული.

წერა-კითხვის უცოდინართა მეცადინეობა მიმდინარეობს წარმატებით. ყველანი აღტაცებით უსმენენ მასწავლებელს ახსნის დროს.

მთელ ლეგიონებში შედგა უმცროს მეთაურთა სამოსწავლო გუნდი, რომელიც შესდგება სულ 30 კაცისაგან. შედგენის დღიდან, თვითეული მათგანი გულ მოდგინეთ შეუდგენ მეცადინეობას, რომლებიც მომავალში იმედი გვაქვს ჩადგებიან წ.-არმ. რიგებში და სწორ გზისაკენ მაგალითით მაჩვენებელი გახდებიან.

ესკადრონებში მოწყობილია წითელი კუთხეები.

პოლიტ-მეცადინეობა აქამდის ნაშუადღევს სწარმოებდა რაც არ იყო მოხერხებული წ.-არმიელებ სათვის. ცვლა—ტანთ-ვარჯიშობის შემდეგ არის პოლიტ-მეცადინეობა, რომელსაც უფრო ფხიზლათ ხვდებიან წ.-არმიელები.

საზოგადოთ ნაწილში კარგი სულიერი განწყობილება არის საღამოობით ეწყობა ცეკვა-თამაში და სიმღერები, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ყველა წ.-არმიელები.

წყალ-წითლული.

ამხ. დ. ბაკურაძის ტრაღიკულ. დაღუპვა

სალაგეროთ მდგომ ქართულ დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულს ა. წ. 12 ხუთშაბათს თავს დაატყდა მეტა საწუხარო ამბავი. ჩვენთან მოვლინებულ წითელ არმიელს 1-ლი ლეგიონიდან ამხ. ბაკურაძეს, სპეციალურ პრაქტიკულ მეცადინეობის დროს, როდესაც წ.-არმიელები მიწას სთხრიდენ უცაბედათ თავს დააწყდათ მთელი მიწის გორა, რომელმაც იმსხვერპლა ერთი საუკეთესო წ.-არმიელი—დარაჯი პროლეტარულ ხელისუფლების ამხ. დიმიტრი ბაკურაძე და დაახიანა იმავე ლეგიონის წ. არმ. ამხ. პავლე გომართელი სოფელ ქვიშხეთის მცხოვრები. არ შემიძლიან რომ მე, როგორც აღნიშნ. ნაწილის სამხედრო კომისარმა არ გამოვსთქვა ჩემი პირადი წუხარება, როგორც მისი დაკარგვით, აგრეთვე მის მშობლების წინაშე, და იმ ნაწილის წითელ-არმიელთა წინაშე, რომლის რიგებიდან იყო ის დროებით გადმოგზავნილი ჩვენთან.

1-ლი ლეგიონის ამხ. წითელ-არმიელებო უფ-და პოლიტ. შემადგენლობავ, ჩვენც მესანგრე ასეულის მთელი შემადგენლობა თქვენთან ერთათ გამოვსთქვამთ მწუხარებას ჯანმრთელი, სადი და საუკეთესო წითელ-არმიელის ასე უდროოდ, ტრაღიკულად დაღუპვის გამო.

და შენ კი ჩემო მეგობარო დიმიტრი, განისვენე მშვიდობით. შენი ხსოვნა საუკუნოდ დარჩება ჩვენში.

სამხედრო კომისარი
ს. ჯავახოვი.

რაზედ გვწერენ

პასუხად ამხ. არგილო აივაზოვს

ამა წლის 14 ივლისს გაზეთ „წითელ არმიელის“ № 321 ში მოთავსებული იყო წერილი „აივაზოვის მიერ შემდეგი სათაურით „მოსეირნე მნე“ რომლის შინაარსი არ შეიცავდა სინამდვილეს რამოდენიმედ მაინც.

ავტორი ათავსებს თავის წერილში შემდეგს:

უმცროს მეთაურთა მოსამზადებელი სკოლის სამნეო ნაწილი ვერ სდგას თავის სიმაღლეზეო.

მართალიც უნდა ითქვას, რომ სამნეო ნაწილი რამდენ მედ მოისუსტებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამშრომლები სათანადოთ ვერ ასრულებენ თავის მოვალეობას.

ხოლო რაც შეეხება როგორც აივაზოვი აღნიშნავს, რომ თითქოს მნე ღამის ორ საათამდე დააქროლებდეს „პროლიტკას“ მხოლოდ თავის ინტერესებისათვის და კიდევ ის რომ „ორ ცხენს ფეხი მოსტეხაო“, სრულებით სიმართლეს მოკლებულია.

და არ ვიცი რათ დასჭირდა ავტორს ასეთი სიცრუის თქმა.

ამასთანავე ის აღნიშნავს რომ „ათასეულს ყავდა ერთი ძროხა, რომელიც სამნეო ნაწილის უფროსმა სახლში წაიყვანა და ფული ჯერაც არ გადუხდიაო“.

ზემო-აღნიშნული მოვლენები თუ მართლა ხდება, მაშინ სკოლას პატრონი არ ყოლებია; მაგრამ არ დაავიწყდეს ამხანაგს, რომ სკოლას ისეთი უმფროსი და სამხედრო კომისარი ყავს და ამასთანავე პოლიტ-მომუშავენი, რომ ამნაირი ბოროტ მოქმედება იქ დაუშვებელია.

მე ურჩევდი ამხ. აივაზოვს ფრთხილად მოეპყრას თავის კალამს და გაზეთებს შეცდომაში ნუ შეიყვანს თავისი ცრუ ცნობებით.

პასუხისმგებელი სამხკორი:

პანკვეტაძე.

ახალი ამბები

სასკოლო ქვეგანყოფილებაში.

მანგლისიდან დაბრუნდა პოლიტგანის სასკოლო ქვეგანყოფილების ინსტრუქტორი ამხ. თალაკვაძე, რომელიც მივლინებული იყო მანგლისში სასკოლო საქმეების გამო, როგორც მისი მოხსენებიდან სჩანს, სასკოლო საქმე სათანადო დონეზეა დაყენებული, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოხდება 1 სექტემბრისათვის.

პოლიტხელთა კურსები.

პოლიტხელთა კურსები, რომელიც უნდა გახსნილიყო 15 ივლისს, გაიხსნება 20 ივლისს, ვინაიდან ახალგაზრდათა კომკავშირიდან ჯერ არ გამოცხადებულა საკმაო რიცხვი მსმენელებისა, ნაწილებიდან კი გამოცხადდა.

ოზურგეთ-ნატანების რკინის გზა.

ოზურგეთის მაზრის შრომის განყოფილებამ ივნისის თვეში, 1922 წლის შრომის ხარკის ანგარიშში ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის გასაყვანად სამუშაოზე გამოიყვანა 432 მუშა და 35 ტვირთმზიდავი.

შტატების შემცირება.

თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში დამთავრდა შტატების შემცირება.

მუშათა ფაკულტეტი.

ლენინის სახელობის პოლიტეხნიკუმთან არსებული მუშათა ფაკულტეტი წელს დაასრულა 22 კაცმა.

მალარია.

ჯანმრთელობის კომისარიატის ცნობით ივნისის თვის განმავლობაში მალარიით ავადმყოფობა შემცირდა 19 პროცენტით.

ოლიმპიადა.

15 ივლისს გაიხსნა კავკასიის ცალკე არმიის მიერ მოწყობილი ოლიმპიადა. შეჯიბრებები დამსწრეთა შორის დიდ ინტერესს იწვევენ.

ტყიბულის მაღაროებში.

ტყიბულის მაღაროებში მაისის თვის განმავლობაში ამოღებულ იქნა 185.105 ფ. ქვანახშირი. ივნისში 367.336— ფუთი.

სამხედრო საქმე

გაზების მოქმედება და შთაბეჭდილებანი მის მოხმარების პირველ ხანაში.

გერმანელები გაზ-ქლორის საცდელად 1915 წელს თებერვალში უშვებდენ მას ბალონებიდან მტრის წინაამდეგ, ქლორი-მწვანე მოყვითალო ფერის გაზია, საშინელი მწვავე სუნი აქვს, რაც ძალიან მავნებლად ჰმოქმედებს სასუნთქ ორგანოებზე. იგი დაახლოვებით ორნახევარჯერ მძიმეა ჰაერზედ ქლორი ისეთ გაზებს ეკუთვნის, რომელიც შეიძლება ძალიან შესქელდეს და სითხედ გარდაიქცეს, ჩვეულებრივ ტემპერატურაზედ (სითბოზედ) საკმარისია მისი შეკუმშვა (დაზიდვა) 4 ატმოსფერის (ჰაერის) ძალით, რომ სითხედ გარდაიქცეს.

ქლორი წყალში კარგათ იხსნება: ქლორის 150 ნაწილი 100 ნაწილ წყალში იხსნება 0° სითბოზედ. მარტივ სხეულებს, ლითონებს, ქლორი ძალიან თავისუფლად უერთდება; საკმარისია ამ გაზის უბრალო შეხება, რომ ქიმიური მოქმედება მოხდეს. ამასთან ამ მოქმედებას მოჰყვება ხოლმე იმ გვარი სითბოს განვითარება, რომ სხეულები წითლად ჰხურდებიან.

ქლორის მისაღებათ, იღებენ მარგანეცის გადაჟანგის წვრილ ნატეხებს და დაასხავენ მარილის სიმჟავეს. რეაქცია (ქიმიური მოქმედება) უფრო კარგად მიდის, როცა ცოტათი შეათბობენ. ქლორს, როგორც ჰაერზედ მძიმე გაზს, პირდაპირ მშრალ ჰურჭელში აგროვებენ.

1915 წ. აპრილში გერმანელებმა ეს გაზი ფლანდრიაში, მდ. იპრის მიდამოებში, ინგლისელთა ფრონტის წინაამდეგ იხმარეს. იმდროს გაზების ოპერაციისათვის (საომარ მოქმედებისათვის) კარგი ამინდი იდგა, ქარი უბერავდა ინგლისისაკენ; ბალონებიდან გამოშვებული ქლორის მწვანე-მოყვითალო ღრუბელი ქარმა ინგლისელების თხრილებისაკენ გაიქანა და საშინელის სისწრაფით გავრცელდა მათ მდებარეობის ზურგში. ასეთმა ანაზდეულმა გაზის ღრუბელმა თავზარი დასცა ინგლისის ჯარს.

საშინელი შემხუთავი გაზი თავის საქმეს აკეთებდა: ჰხუთავდა, შხამავდა და ჰხოცდა ხალხს. მაშინ გაზების საწინააღმდეგო ნიღაბები და რაიმე სხვა გაზებისაგან დამცველი საშუალებანი ინგლისელებს არ ჰქონდათ და პირველ ხანებში მათი ჯარი საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

რუსეთის ფრონტზედ გერმანელებმა მდინარე ბზურაზედ მოახდინეს გაზის იერიში 1915 წ. მაისში. რუსის ჯარი ამ იერიშით დიდად დაზარალდა:—ათი, თხუთმეტი წამის შემდეგ რუსის ჯარის მთელი ლეგიონები გაზით მოწამლულნი, მკვდრათ ეწყვნენ.

ამ გაზის იერიშმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მოწინააღმდეგე მხარე ძალზედ შეაფიქრიანა.

გ. ბ

მეთოდი სწავლებისა წითელ-არმიელთა სკოლაში

(გაგრძელება)

წარსულ წერილში ჩვენ შევეხეთ იმ საკითხს თუ როგორი მნიშვნელობა ექნებოდა, თუ ჩვენს წითელ-არმიელთა სკოლებში წარმოებულ იქნებოდა სწავლება ლაბორატორიული მეთოდის საშვალებით, ამ მეთოდს თუ სადმე აქვს გასავალი, მით უმეტეს წითელ არმიელთა სკოლაში ექნება ვინაიდგან ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ სკოლაში სწავლობს უკვე დავაჟკაცებული ახალგაზრდობა, მაგრამ ლაბორატორიული მეთოდი მეტ თვალსაჩინეობას და თვითმოქმედებას მოითხოვს მოწაფეებისაგან, ვიდრე სხვა მეთოდები. ამისათვის კი—საჭიროა მასწავლებელმა მიმართოს როგორც პირველს—ისე მეორეს. პირველი იმაში გამოიხატება, რომ გაკვეთილის დროს მასწავლებელი სარგებლობს სხვა და სხვა სურათებით. სურათები კი ჩვენს ყაზარმებში ბლომად მოიპოვება. ასეთი სურათები შეიძლება არა სკოლის ცხოვრებიდან იყვნენ, მასწავლებელმა უნდა მოითხოვოს იმ სურათის წერილობით აღწერა, რომელიც მას ხელთ მოყვება. ამის გარდა ამავე სურათების საშუალებით მოკლე წერითი ვარჯიშობაც უნდა იქნეს შესრულებული მოწაფეთა მიერ, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს უნდა მიექცეს ყურადღება, ვინაიდგან ეს უვითარებს მოწაფე წითელ არმიელებს თვით შემოქმედების სურვილს და სწავლის საქმესაც მას ერთი-ათად უფრო ულვიძებს. უნდა ეცადოს მასწავლებელმა, რომ რაც შეიძლება მოწაფე წითელ-არმიელებმა მეტი სწერონ და ივარჯიშონ მარტივ და მოკლე თემებზე. (რასაკვირველია, ეს შესაძლებელია სამი ოთხი თვის შემდეგ, როდესაც წითელ არმიელებს ანბანი უკვე შესწავლილი ექნებათ)—აქ შეიძლება ზოგიერთი სამაგალითო თემები დავასახელოთ, ასეთები იქნებიან: „ჩემი სოფელი“ „ჩემი გუნდი“ „ჩემი მასწავლებელი“ „ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობა“ წერილი დედისადმი, მამისადმი და ნათესავებისადმი და სხვა... ჩვენ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორი სიხალისით შეუდგება წითელი არმიელი ასეთი წერილების შედგენას; განსაკუთრებით იგი მოხარულია, რომ მან თვითო შესძლო სხვის დაუხმარებლივ დაეწერა ის, რაც მას დასამუშავებლად შეუკვეთეს. ასეთი სწავლების მეთოდი უაღრესად აღვიძებს წითელ არმიელში სწავლის სურვილს და სკოლაც მოსაწყენი აღარ ხდება მისთვის.

ასეთი მეცადინეობა ჩვენს წითელ არმიელთა სკოლებში პირდაპირ ძიზან შეწონილია, როგორც მასწავლებელი, აგრეთვე მოწაფე წითელ არმიელებიც მეტ საქმიანობას იჩენენ. მე პრაქტიკიდან ვიცი, რომ ჩვენი წითელ-არმიელებისთვის უფრო ხელსაყრელია თვით მოქმედების პრინციპი. ისინი გრძნობენ, რომ მოზრდილნი არიან, მათ მოქმედების სურვილი გაღვიძებული აქვთ, მათ უნდათ დროზე შეისწავლონ წერა-კითხვა, ამისათვის კი ხშირად ეხვეწებიან მასწავლებელს: „მასწავლებელო თუ შეიძლება ბლომად დამაწერინეო“. ამიტომ, არის რომ ლაბორატორიული მეთოდი საშუალებას გვაძლევს რაც შეიძლება მეტი უფლება მივანიჭოთ მოწაფე წითელ არმიელს აქტიური მუშაობისა. აქტიურ მუშაობის შეძლებას კი—ლაბორატორიული მეთოდი მოითხოვს, რომლის შესახებაც დაწვრილებით შემდეგში გვექნება საუბარი.

ალ. გ-ძე.

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი ქუხილზედ, მეხზედ. წვიმაზედ და სეტყვაზედ.

ამერიკის ლაბორატორიებში ბუმბერაზ კონდენსატორის (ელექტრონის დამგროვებელი მანქანა) დაცლით, რომლის გასატენათ დახარჯული იყო თითქმის ერთი მილიონი ცხენის ძალის ენერგია, მიაღწიეს ქუხილის მინაგვარ ეფექტს; ამასთან ხეები გახეთქა. მეორე კონდენსატორი გატენეს 100,000 ვოლტით (ელექტრონის ერთეული ზომაა). და შემდეგ წუთის ერთ მეასე ათასედში ვოლფრამის მავთულით დაცალეს. უკანასკნელი აიფეთქდა მეხის მაგვარი ტკაცუნით. ორივე შემთხვევაში აღნიშნული იყო 30.000 გრადუსი ცელსიუსით. მართალია წუთის ძალიან მოკლე ხნის განმავლობაში. აქამდისინ ამ გვარი ტემპერატურა ჯერ არ ყოფილა გაზომილი მეორე ცდის აღნიშნული იყო შემდეგი მეტად შესანიშნავი ფაქტი: ვოლფრამის ატომები დაიშალნენ და ჰელიოსათ გარდაიქცენ. აქ ჩვენ წინაშე დგება ატომის დაშლის ახალი ფორმა, რომელიც პარალელია ცნობილ წყალბადის ატომთა დაშლისა ალფას ნაწილაკებით (რეზერფორდის ცდა).

ფიზიკის საერთოდ მიღებულ განმარტებით ჰაერის ნაირ სიმკვრივეთა გამოსწორება ელვის გზაზედ, რომელიც ზოგჯერ მთელ მილებით გრძელდება, იწვევს ქუხილს. ამ ჟამად წამოყენებულია ახალი ჰიპოტეზა. ელვა ეძებს გასავალს ატმოსფერაში ყოველთვის არსებულ სინოტივეში, წყლის წვეთებში და ორთქლში; ამასთან ელექტრიული ჩქერი ჰშლის წყალს წყალბადათ და ჟანგბადათ, და მათ შეერთებით კი აღმოცენდება მქუხარე გაზი. ელვის მაღალი ტემპერატურა მაშინვე იწვევს ამ გაზის აფეთქებას, ამასთან აფეთქება ხდება „ელვის მთელ გზის სიგრძეზედ. აფეთქების ხმას ჩვენ ვითვისებთ ქუხილის სახით“. როგორც ვხედავთ ეს სრულიად ორიგინალი განმარტება საკმაოდ სინამდვილეს წააგავს.

ივანიცკის წერილში. წვიმის ხელოვნურად გამოწვევის შესახებ მოყვანილია მეტად საგულისხმიერო ჰიპოთეზა პროფ. ბორისოვისა, რომელიც სრულიად ახალ თეორიას იძლევა წვიმის შესახებ: „თუ ღრუბლების ზედა და ქვედა ნაწილები დატენილია მოპირდაპირე ელექტრონებით მაშინ ურთიერთ მოქმედება მოპირდაპირე ელექტრონების შორის, ამცირებს წყლის წვეთების მიზიდვას დედამიწისაკენ და ხელს უწყობს მათ ღრუბლებში დარჩენას. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მოწინააღმდეგე ელექტრონებით დატენილი ღრუბლები დიცლებიან, წყლის წვეთების მიზიდვა მიწისაკენ ძლიერდება და ისინიც ეცემიან ჰაერიდან წვიმის სახით. პირველი შეხედვით რაც უნდა უცნაური არ იყოს ეს, წვიმის შესახებ მეცნიერება ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემების წინაშე სდგას მიუხედავად იმისა, რომ პატარაობიდანვე შევჩვეულვართ მის უბრალო მიზეზებით ახსნას და ადვილად გასაგებ რამეთ გვაქვს წარმოდგენილი. ამნაირად როგორი არის საყოველთაოდ მიღებული ახსნა წვიმის წარმოშობის შესახებ?

მას ხსნიან ატმოსფერული ელექტრობის სხვა და სხვა დაჭიმულობით, თუმცა თუ ატმოსფერული ელექტროება არის მიზეზი ქუხილის ელექტრობისა, მაშინ ყოველნაირ ღრუბლების გაჩენის და ყველა წვიმის დროს უნდა ადგილი ჰქონდა ელექტრონული დაჭიმულობის გასწორებას ელვის სახით, ყოველთვის უნდა ყოფილიყო „ატმოსფერა ქუხილის“. მაგრამ, ეს როგორც ვიცით ასე არ არის.

რომ გადაელახათ ეს სიძნელე მოაყენეს ჰიპოთეზა, რომელიც ამბობს, რომ წვიმა ჩნდება ჰაერის ფენების სხვა და სხვანაირი ურთიერთისადმი ხეხვით და აგრეთვე ღრუბლების ერთმანეთზე ხეხვითაცო, რისგამოც ჩნდება ელექტრობაო; მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ყოველთვის, როდესაც არსებობს მოძრაობა ჰაერში ან და ღრუბლების მოძრაობა სხვა და სხვა სიჩქარით, უნდა გაჩენილიყო ეს ელექტრობა ხეხვის გამო. არც ეს ადასტურებს ნამდვილ ფაქტებს. ბოლოს წამოყენებული იქნა კიდევ მესამე ჰიპოთეზა: ელექტრობა ჩნდება ატმოსფერული სინესტის შემჭიდროებით. ეს კონდენსაცია იწვევს ელექტრობის განსაკუთრებულ დაჭიმულობის, რომელიც შემდეგ დაიცლება ხოლმე ელვათ. თუმცა ასეთი ახსნის წინააღმდეგ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ამ გვარი კონდენსაცია ხდება ზამთარშიდაც—როდესაც მეხი აშვიათი მოვლენაა. ბოლოს და ბოლოს მეცნიერება ყველა ამ სამ ფაქტორის ურთიერთ მოქმედებას ღებულობს: ზაფხულში ჰაერ ს გამთბარი ქვედა ფენები ადის ზევით და ამ დროს ადგილი აქვს როგორც კონდენსაციას ისე თვით ხეხვასაც და ელექტრონული პოტენციალების განსხვავებას.

(გაგრძელება იქნება).

ქართულ დივიზიის ზურგის ნაწ. ყველა კომუჯრედთა მდივნებს.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც კომუჯრედთა მდივნების თათბირის დროს, ისე გაზეთის საშუალებითაც რამოდენიმეჯერ იყო გამოცხადებული, რომ გადმოეგზავნილიყო ბიურო კოლექტივში კომუჯრედის წევრთა სიები მათი პარტიული სტაჟის და პოლიტიკურ მომზადების აღნიშვნით, ზოგიერთ მდივნებს დღემდის არ გადმოუგზავნიათ ასეთები. ვაცხადებ რა უკანასკნელად ზემოდ- აღნიშნულ, ბიურო კოლექტივის სახელით წინადადებას ვაძლევ იმ მდივნებს, რომელთაც აღნიშნული ცნობები არ გადმოუგზავნიათ, დაუყოვნებლივ გადმოგზავნონ ასეთები, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებიან პასუხის მგებელნი როგორც პარტ. დისციპლინის დამრღვევნი.

ზურგ. ნაწ. ბიურო კოლექტივის
მდივანი **დ. ხიხაძე.**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**

ნ. დ. ს. ც.
ტირაჟი 1.200
სამხედრო სტამბა